



სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

სატენდერო დოკუმენტაცია

---

მთარგმნელობითი მომსახურების შესყიდვა

(CPV-79500000) შესყიდვა

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით

2014 წელი  
ქ. თბილისი

## ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის.
2. ტექნიკური დოკუმენტაცია.
3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი.
4. დანართი №1 - რეკვიზიტები.
5. დანართი №2 - ფასების ცხრილი.
6. დანართი №3 - აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა.

## 1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1. ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვა ტარდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემაში (შემდგომში - სისტემა).

1.2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემაში შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად.

1.3. სატენდერო წინადადების წარდგენისთვის უნდა იყოს დარეგისტრირებული სისტემაში მიმწოდებლის სტატუსით, შემდეგ ვალდებული ხართ გაეცნოთ აფიდავატს და დაეთანხმოთ მას (გაცნობას და თაბხმობას ადასტურებთ სისტემის მეშვეობით).

1.4. ამის შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია ჯერ წარმოადგინოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია, ხოლო შემდეგ გადაიხადოს ტენდერში მონაწილეობის საფასური.

1.5. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1%-ის ოდენობით. ტენდერში მონაწილეობის საფასური შეადგენს 50 ლარს.

1.6. ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის სისტემაში არსებული ავტომატური საშუალებების გაუმართაობის შემთხვევაში, ყოველ კონკრეტულ ტენდერში, ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა შესაძლებელია განხორციელდეს სააგენტოსთან შეთანხმებით, ტექნიკური დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთვამდე სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულებით გათვალისწინებული პროცედურების გამოყენებით. აღნიშნული ქმედებების განხორციელების გარეშე თქვენ არ გექნებათ სატენდერო წინადადების წარდგენისა და შესაბამისად, ტენდერში მონაწილეობის შესაძლებლობა.

1.7. მას შემდეგ რაც ზემოაღნიშნულ ქმედებებს განხორციელებთ, თქვენ უფლება გაქვთ სისტემის მეშვეობით წარადგინოთ სატენდერო წინადადება.

1.8. სატენდერო წინადადება შედგება სატენდერო წინადადების ფასისგან და ტექნიკური დოკუმენტაციისგან.

1.9. ტექნიკური დოკუმენტაცია არის პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტის შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით,

1.10. ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვის შემდეგ, თქვენ გაქვთ შესაძლებლობა მიუთითოთ თქვენი სატენდერო წინადადების ფასი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახდის გათვალისწინებით.

1.11. სატენდერო წინადადების ფასის მითითებისთანვე თქვენ უფლება გაქვთ მიიღოთ მონაწილეობა ელექტრონულ ვაჭრობაში, რომელიც იყოფა ძირითად დროდ და დამატებით 3 რაუნდად.

1.12. ძირითად დროში უფლება გაქვთ ცვალოთ თქვენი ფასი, კლებადობის პრინციპის გათვალისწინებითა და შემსყიდველის მიერ განსაზღვრული ბიჯზე არანაკლები ოდენობით.

1.13. ბიჯი არის სატენდერო წინადადების ფასის კლების წინასწარ განსაზღვრული მინიმალური ოდენობა, რომელიც მითითებულია სატენდერო განცხადების შესაბამის ველში.

1.14. დამატებითი რაუნდების თითოეულ რაუნდში პრეტენდენტს უფლება აქვს მხოლოდ ერთხელ შეამციროს წინადადების ფასი, რისთვისაც განესაზღვრება ორი წუთი, დამატებით რაუნდებში მონაწილეობა სავალდებულო არ არის და პრეტენდენტს უფლება აქვს რაუნდში მონაწილეობა არ მიიღოს და, შესაბამისად ძალაში დარჩება მის მიერ ბოლოს დაფიქსირებული ფასი. რაუნდებში მონაწილეობის მიღება გულისხმობს ზემოთ აღნიშნული პრინციპით ფასის შემცირებას ან მის იგივე ოდენობით დატოვებას.

1.15. დამატებით რაუნდებში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებმაც ძირითად დროში წარადგინეს წინადადება დადგენილი წესით. პირველ რაუნდში პრეტენდენტის მიერ წინადადების ფასის წარდგენის რიგითობა განისაზღვრება ძირითად დროში წარდგენილი წინადადების ფასის მიხედვით. კერძოდ, პირველ რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი,

რომელმაც ძირითად დროში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა, ხოლო ყოველ მომდევნო რაუნდში – კი ის პრეტენდენტი, რომელმაც წინა რაუნდში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა. წინადადების თანაბარი ფასების დაფიქსირების შემთხვევაში, რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც პირველმა დააფიქსირა ასეთი ფასი.

**1.16.** მას შემდეგ რაც დასრულდება დამატებითი რაუნდები, სისტემა პრეტენდენტებს აჯგუფებს სატენდერო წინადადების ფასის მიხედვით, ამის შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოწმდება ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია.

**1.17.** იმ შემთხვევაში თუ ორი ან მეტი პრეტენდენტის მიერ სისტემაში მითითებულია თანაბარი ფასი, სისტემა ავტომატურად ანიჭებს უპირატესობას იმ პრეტენდენტს, რომელმაც პირველმა მიუთითა სატენდერო წინადადების აღნიშნული ფასი.

**1.18.** თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი მას განუსაზღვრავს არაუმეტეს 3 დღისა ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტებისთვის. დაუშვებელია ტექნიკური დოკუმენტაციის ისეთი დაზუსტება, რომელიც გამოიწვევს სატენდერო წინადადების არსებით ცვლილებას და მოახდენს გავლენას სატენდერო წინადადების ფასზე.

**1.19.** იმ შემთხვევაში თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტმა წარმატებით გაიარა ყველა ზემოთ მოყვანილი ეტაპი (არ იქნა დისკვალიფიცირებული) შემსყიდველი დებს მასთან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას.

**1.20.** ყველაზე დაბალის ფასის მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შემთხვევაში შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს ყველაზე დაბალი ფასის მქონე მომდევნო პრეტენდენტს, თუ ამ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემულ მოთხოვნებს.

**1.21.** ელექტრონული ტენდერის შეწყვეტა:

ა) სატენდერო კომისიას უფლება აქვს შეწყვიტოს ტენდერი თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შემდეგ, თუ მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის წინადადების ფასი ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შდეგად, მნიშვნელოვნად აღემატება დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ ფასს ან/ და ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას.

ბ) სატენდერო კომისიას უფლება აქვს გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

გ) შესყიდვის პროცედურების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, პრეტენდენტებს წარუდგინოს კონკრეტული მტკიცებულება ან დეტალური ინფორმაცია, რომლის საფუძველზედაც მიიღო ეს გადაწყვეტილება. შესყიდვის პროცედურების შეჩერებისას ან შეწყვეტისას შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, აანაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობათან დაკავშირებული ხარჯები.

**1.22.** ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

**1.23.** დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

**1.24.** სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში - სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

**1.25.** ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისთვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

**1.26.** პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

**1.27.** სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს

შეუძლია სისტემის მოდულის - “კითხვა/პასუხი” მეშვეობით და სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. ქ. თბილისი, წმინდა ნიკოლოზის/ნინო ჩხეიძის ქ. #2. საკონტაქტო პირი თენგიზ ჯუღელი ტელ: 2910517 შიდა – 7058.

## 2. ტექნიკური დოკუმენტაცია

### 2.1. ანგარიშსწორების პირობები:

**2.1.1.** სატენდერო წინადადების საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მომსახურების მოწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით, მათ შორის დღგ-ს ჩათვლით (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში), ნებისმიერი ხარჯი, რომელიც გათვალისწინებული არ იქნება მიმწოდებლის მიერ არ ანაზღაურდება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ.

**2.1.2.** ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

**2.1.3.** ანგარიშსწორება იწარმოებს ყოველთვიურად, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მოცულობის გათვალისწინებით, მიმწოდებლის მიერ შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში) გამოწერისა და შესაბამისი მიღება ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

### 2.2. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება:

**2.2.1.** შესყიდვის ობიექტი გულისხმობს მთარგმნელობითი მომსახურების გაწევას შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის საფუძველზე.

**2.2.2.** თარგმნის მომსახურების მაქსიმალური რაოდენობა, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდის განმავლობაში, განისაზღვრება 760 გვერდით.

**2.2.3.** ერთი გვერდი გულისხმობს 2000 სიმბოლოს, სივრცეების გარეშე, ნათარგმნი მასალიდან.

**2.2.4.** ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში (ყოველ ჯერზე) თარგმნის სახეობა და თარგმნის რაოდენობა განისაზღვრება შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი წერილობითი მოთხოვნით.

**2.2.5.** თარგმნის სახეობებია:

№	თარგმნის სახეობა	№	თარგმნის სახეობა
1	ქართულიდან ინგლისურად	11	ქართულიდან იტალიურად
2	ინგლისურიდან ქართულად	12	იტალიურიდან ქართულად
3	რუსულიდან ინგლისურად	13	ქართულიდან ესპანურად
4	ინგლისურიდან რუსულად	14	ესპანურიდან ქართულად
5	ქართულიდან ფრანგულად	15	ქართულიდან ბერძნულად
6	ფრანგულიდან ქართულად	16	ბერძნულიდან ქართულად
7	ქართულიდან გერმანულად	17	ქართულიდან თურქულად
8	გერმანულიდან ქართულად	18	თურქულიდან ქართულად
9	ქართულიდან რუსულად	19	ქართულიდან უკრაინულად
10	რუსულიდან ქართულად	20	უკრაინულიდან ქართულად

**შენიშვნა:**

**2.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების სავალდებულო ვადა და ადგილი:**

**2.3.1.** შესყიდვის ობიექტის მიწოდება მოხდება პერიოდულად - შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის საფუძველზე და მის შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდის განმავლობაში.

**2.3.2.** ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში (ყოველ ჯერზე) მისაწოდებელი შესყიდვის ობიექტის მოცულობა და მიწოდების ვადა განისაზღვრება შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი წერილობითი მოთხოვნით.

**2.3.3.** შემსყიდველ ორგანიზაციას არა აქვს უფლება მოითხოვოს ერთ დღეში 15-ზე მეტი გვერდის თარგმნა.

**2.3.4.** შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი - წმ. ნიკოლოზის/წ. ჩხეიძის ქ. 2.

**2.4. პრეტენდენტის მიერ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:**

**2.4.1.** პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს რეკვიზიტები დანართი №1- ის შესაბამისად.

**2.4.2.** შესყიდვის ობიექტის ფასების ცხრილი დანართი №2 - ის შესაბამისად.

**2.4.3.** ინფორმაცია პრეტენდენტის მიერ ბოლო 1 წლის განმავლობაში ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილების შესახებ (დამკვეთი ორგანიზაციის, შესყიდვის ობიექტის, ხელშეკრულების ღირებულების და მომსახურების პერიოდის მითითებით).

**2.4.4.** პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული თარგმნის განმარტაციული პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები (უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომები).

**შენიშვნა:** სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

**3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი**

---

*წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შემდეგ. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული იქნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.*

---

ქ. თბილისი

„-----“ „-----“ 2014 წ.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი შესყიდვების სამსახურის უფროსის **ლაშა მერაბიშვილის** სახით და ----- შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, წარმოდგენილი ----- სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

**1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები**

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.6. „მომსახურება“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
- 1.7. „ინსპექტირება“ - ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროებისთვის მთარგმნელობითი მომსახურების შესყიდვა, შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შესაბამისად. (CPV-79500000).

2.2. ხელშეკრულების საფუძველზე განსახორციელებელი მთარგმნელობითი მომსახურების საერთო მოცულობაა 760 გვერდი, სადაც ერთი გვერდი გულისხმობს 2000 სიმბოლოს, სივრცეების გარეშე, ნათარგმნი მასალიდან.

2.3. თარგმნის სახეობები და რაოდენობა განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფასთა ცხრილით დანართი №1, რომელიც წარმოედგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ----- (-----) ლარს.

3.2. ერთი გვერდი (2000 სიმბოლო, სივრცეების გარეშე, ნათარგმნი მასალიდან) თარგმნის (ხელშეკრულების დანართი №1 -ით გათვალისწინებული ნებისმიერ სახეობის) მომსახურების ღირებულება შეადგენს ----- ლარს,

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, დღგ-ს ჩათვლით.

## 4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) განახორციელოს მომსახურების გაწევა ამ ხელშეკრულების დანართი №1-ის შესაბამისად, ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდის განმავლობაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, წმ. ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქ. №2;

ბ) განახორციელოს მომსახურების გაწევა ნაწილ-ნაწილ, ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში.

გ) ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში (ყოველ ჯერზე) სათარგმნი გვერდების რაოდენობა, თარგმნის სახეობა და მიწოდების ვადა განისაზღვრება შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი წერილობითო მოთხოვნით. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება არა აქვს მოსთხოვოს მიმწოდებელს ერთ დღეში 15-ზე მეტი გვერდის თარგმნა.

დ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

ე) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების ინსპექტირების განხორციელება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

## 5. ხელშეკრულების ინსპექტირება

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულების ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ხელშეკრულების ინსპექტირების განხორციელების დროს.

5.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის საერთშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი (უფროსის მოვალეობის შემსრულებელი).

5.3. შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

5.4. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნი გაწეულ მომსახურებაში, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება და 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროს წუნი.

## 6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება მისი ფაქტობრივი მიწოდების შესაბამისად წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ხელშეკრულების ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

## 7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;

გ) დაფინანსების წყარო: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკუთარი შემოსავლები.

7.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციის ყოველი მოთხოვნის საფუძველზე მიწოდებული მომსახურების ღირებულება, მხარეთა მიერ გაფორმებული შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი სამუშაო) დღის განმავლობაში.

## 8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

## 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.3 %-ის ოდენობით.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების 5.4 პუნქტით გათვალისწინებული პირობის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება ერთჯერადი პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით.



**9.3.** წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.3%-ის ოდენობით.

**9.4.** იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

**9.5.** პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## **10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

**10.1.** ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

**10.2.** თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

## **11. დავების გადაწყვეტა**

**11.1.** ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

**11.2.** თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## **12. ხელშეკრულების შეწყვეტა**

**12.1.** შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

**12.2.** ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

**12.3.** ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

## **13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

## **14. ფორს-მაჟორი**

**14.1.** წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

**14.2.** ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

**14.3.** მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ

შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

### 15. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო მეორე - შემსყიდველს.

### 16. მხარეთა რეკვიზიტები:

**შემსყიდველი:**

**მიმწოდებელი:**

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო,  
წარმოდგენილი შესყიდვების სამსახურის უფროსის  
ლაშა მერაბიშვილის სახით,  
მისამართი: ქ. თბილისი, წმინდა ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის  
ქ. №2.  
საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №GE46BG000000113686601,  
სს „საქართველოს ბანკი“, კოდი: BAGAGE22,  
სკ - 202238621

-----  
წარმოდგენილი -----  
----- სახით,  
მისამართი: -----  
საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №-----,  
სს „-----“, კოდი: -----  
სკ - -----

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის დასახელება:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება \_\_\_\_\_

№	მომსახურების დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა (გვერდი)	ერთი გვერდის ღირებულება	საერთო ღირებულება	მიწოდების ვადა და ადგილი
	1	3	4	4	5	6
1	თარგმნა	ერთი გვერდი (2000 სიმბოლო, სივრცეების გარეშე, ნათარგმნი მასალიდან)	760			<b>მიწოდების ვადა</b> ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდის განმავლობაში
	ჯამი:					

უფლებამოსილი პირი, /სახელი, გვარი, თანამდებობა/ \_\_\_\_\_

ხელმოწერა / ბეჭედი

### აფიდავიტი

#### სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

\* ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

\* უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;

\* ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;

\* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში;

\* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- სატენდერო წინადადების ფასი;
- სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს;

• შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება;

\* სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადებისგან საჯაროების მომენტამდე.

გავცვანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად.